განკარგულება:**g-55. 5524243001**
თარიღი:**30/08/2024**

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

   ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;

   ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა - ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა ამ განკარგულების მე-6 პუნქტით აკრძალული შენობა - ნაგებობებისა;

   გ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლეზე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენები და სხვა ელმოწყობილობები, არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა;

2. სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა - ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ (ებ)ით;

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

5. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 10 ცალით;

6. აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის (მის. ქ. სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი N2) ასევე ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მათი კაპიტალური მესერებით, სასამართლოს (მის. სიღნაღი, ც. დადიანის ქ. N15), პროკურატურის (მის. სიღნაღი, ნ. ბარათაშვილის ქ. N1ᵇ), თეატრის შენობის (მის. ქ. სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი N4) პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე. დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება;

7. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა შეწყდეს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე;

8. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი